| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7, ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—4) აგენტი დ. ქ. თუთაევი.


## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.


ქართული თეატრი

პირველი წარმოდგენა

ქ-ბნ ეფ. ს. მესხის მონაწილეობით

კვირას, 7 მარტს

მ. მ. საფაროვის გამგეობით

ქართულ თეატრის არტისტებისაგან

**ეფ. მესხის** და **კ. მესხის**

მონაწილეობით

წარმოდგენილ იქნება

ახალი პიესა

**მარგარიტა გოტიე**

დრამა 5 მოქ., თხზ. ა. დიუმასი (შვილისა)

მარგარიტას როლს შეასრულებს ეფ. მესხისა, არმანის როლს—კ. მესხი.

დასასრულ

არც აქეთ, არც იქით

ვოდ. 1 მოქმედებად, ვალ. გუნიასი

ტარას მშიერიძის როლს შეასრულებს ვ. აბაშიძე

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი

რეჟისორი ვ. აბაშიძე

ადგილების ფასი საოპერეტოა

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

მზადდება ახალი ისტორიული პიესა

კ. მესხისა **ლანგ-თემური**

გამგეობა მ. მ. საფაროვისა

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც მოეპოება

ალბომებში ჩაწერილი

აკაკი წერეთლის

მოსწრებული ლექსები—გადააწერინოს და გამოუგზავნოს ამხანაგობას ამხანაგობისვე ხარჯით, რისთვისაც დიდი მადლობელი დაგრჩებათ გამგეობა. (3—3)


ტფილისი, 6 მარტი

ჩვენის სამშობლოს ერთს კუთხეს, სახელდობრ, კახეთს, უბედურება ეწვია. შარშან მოსავალი საკმარისი არ მოვიდა, ხალხს საზრდო არ ეყო ახალ მოსავლამდე და ამ ჟამად დიდად შეწუხდა. კახეთიდამა და ქიზიყიდამ მოწერილ ამბებიდგანა სჩანს, რომ თელავსა და სიღნაღში პური გაძვირდა და ფუთს 2 მანათად და ორ აბაზად ძლივსა ჰშოულობენ. ასეთი ფასი პურისა, რა თქმა უნდა, ღარიბის კაცისთვის ხელ-მიუწვდენელია და, თუ დროზედ და მხნედ არ ეშველა საქმეს, მკვიდრის კეთილ-დღეობას შეარყევს და შემდეგ მეტად გაძნელდება დაზარალებულის კაცის ფეხზე წამოყენება.

კახეთის მკვიდრის ასეთის გაჭირვებით სარგებლობენ ქვეყნის ულაპიები და სცდილობენ, ხელი მოითბონ. ზაფხულში იაფ ფასად დაკვეთილს და ნასყიდს პურს ორმოებში მაგრად ჰმალავენ და ელიან, როცა პურის ფასი უფრო აიწევს, მაშინ გაიტანონ ბაზარში. ღმერთმა-კი დაგვიფაროს იმ გვარის უბედურებისაგან, რომელიც შარშანა და წრეულსაც დაატყდა რუსეთსა, როდესაც ხალხი ბალახით იკვებებოდა და ხშირად ამ სანოვაგესაც ვერა შოულობდა, მაგრამ ჩვენ მაინც არა გვმართებს გულ-ხელ-დაკრეფილები ვისხდეთ და შორიდგან ვუცქეროდეთ მხვნელ-მთესველის, მიწის მშრომელისა და ქვეყნის მარჩენალის უბედურებას. შიმშილობის დროს რუსეთში, ფუთს არ აუწევია შვიდ აბაზსა და ექვს უზალთუნზე მაღლა, მაგრამ ღონე-გამოლეული და გაღატაკებული ხალხი ამ მცირე ფასსაც ვერა შოულობდა და, როგორც ცხვრის ფარა მხოლოდ პატრონისაგან ელის რჩენა-გამოკვებას, ისე ის შეჰყურებდა ხელში მთავრობას. როგორც საზოგადოებამ, ისე მთავრობამაც ამ უბედურების დროს დიდი მხნეობა გამოიჩინა, დიდ-ძალი ფული გაიღო და ხალხი გადაარჩინა გაწყვეტას.

საბედნიეროდ ჩვენდა, ჩვენი ხალხი ისე არ არის მოუძლურებული და ჭარაქათ გამოლეული, როგორც რუსეთში; მარტო ის გარემოება, რომ ფუთში ორ მანათს და მეტსაც აძლევენ, დაურღვეველი საბუთია იმისი, რომ თავის ღონით შეუძლიანთ სარჩო შეიძინონ; აქ მხოლოდ გასაჭირი ისაა, რომ ადგილობრივ ბაზარში ჩარჩებისა და ქვეყნის ულაპიების წყალობით პური საშოვნელი არ არის.

ჩვენის აზრით, მათ ასალაგმავად ადმინისტრაციას ბევრი ძლიერი და უებარი საშუალება აქვს. საკმარისია მხოლოდ ენერგიულად მოიქცეს, უსიცოცხლო მიწერ-მოწერას გვერდი აუხვიოს, დროებით, სულ რამდენისამე თვით ასესხოს საერო თანხიდგან, ვსთქვათ, თუნდა ასი ათასი მანათი, იყიდოს იაფად პური ტფილისის ბაზარში და ქართლში, სადაც, როგორც გვატყობინებენ კორესპონდენტები, ფუთი სამ აბაზ-უზალთუნად იყიდება, და მიაშველოს კახეთს. უცბად ამოდენა მიტანილი პური ფასს დასწევს, ქვეყნის ჭამია და ჩარჩიც იძულებული იქნება გამოიტანოს გასასყიდად მძიმედ შენახული პური და ჭნახამთ, რომ, იქნება, ერთმა კვირამაც არ გაიაროს და პურის ფასი ნორმალურ დონეზედ დადგეს.

ამას გარდა კახეთს ბლომადა აქვს შეგროვილი პური ამბარ-ბეღლებში საზოგადო თანხის შესადგენად და გასადიდებლად. მართალია, ამ თანხას სხვა დანიშნულება აქვს, მაგრამ, შეიძლება, ბეღლის პური ეხლავე მიჰყიდონ გაჭირვებულებს იმ ფასად, რა ფასიცა აქვს პურს ტფილისის ბაზარში, და აღებული ფული ჩაირიცხოს დანიშნულებისამებრ. საძნელო არც ის იქნება, რომ ქართლის ამბარ-ბეღლებიდგანაც გაიტანონ პური და მისი სათვასური ან ეხლა, ან შემოდგომაზე დაუბრუნონ იმ სამამასახლისოს, რომელმაც პური გაიღო.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს უკვე მიუმართავს ამ ღონისძიებისათვის და განკარგულება მოუხდენია კიდეც, კახეთს პური მიაშველონ.

ასე დაეხმარებიან, თუ ისე, ამ ჟამად გაჭირვებულ კახეთს,—სულ ერთია, მხოლოდ დახმარება, რაც შეიძლება, მალი და სწრაფი უნდა იყოს, და ჩვენც იმედს არა ვკარგავთ, რომ ადმინისტრაცია ამ საქმეს მხნეობასა და გარჯას არ მოაკლებს და თავის უპირველეს მოვალეობას—ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას, სიამოვნებით აასრულებს.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** ქართული დრამატიული საზოგადოება ამ გაზაფხულს აპირებს გაჰმართოს გამოსაცდელი წარმოდგენები, რომ ამ რიგად მომავალის სეზონისათვის შეარჩიოს სცენისათვის გამოსადეგი არტისტები.

*** სახელმწიფო საბჭო ამ დღეებში გაარჩევს ერთს საყურადღებო საქმეს შესახებ იმისა, რომ 1892 წელს პოლიციის შესანახად დარჩენილი გარდასახადი მთლად ეპატიოს ახალციხეს, გორს, თელავს, სიღნაღს, ახალ-ქალაქს, ნუხას და ორდუბათს, ხოლო ნახიჩევანმა ნაწილ-ნაწილად გარდაიხადოს. ამას გარდა მომავალ 5 წლის განმავლობაში საპოლიციო გარდასახა-

## ფელეტონი

№ 5 „ზურნა“ № 5

ზურნის ხმა შორიდგან
უფრო კარგად მოისმის
ოსმალური ანდაზა

ტფილისი, 6 მარტი

ფრიად სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს. ამიერიდგან გაზეთი ვერ გვაჯობებს. აღმოგვიჩნდა კორესპონდენტი ტფილისის ბულვარისა... რაც-კი ამ ბულვარზე მოხდება, ყველაფერს გვაუწყებს. ბულვარის მნიშვნელობა ხომ ყველას მოგეხსენებათ. წინად იგი იყო „სალაყბო“ და მდებარებდა ანჩისხატის ქუჩაზედ. ეხლა გავნათლდით, „სალაყბო“ გოლოვინსკიზე გადავიტანეთ და სახელი გამოვუცვალეთ. ეხლა „ბულვარი“ გვაქვს, რომელიც ორად განიყოფება, ინგლისის პარლამენტსავით. ბულვარის კრებებზე მონაწილეობას იღებენ: სხვილ ფეხობა და წვრილ ფეხობა. სხვილ ფეხობა ბულვარზედ საქართველოს კეთილდღეობისთვის ზრუნავს და საქმეებს განაგებს, წვრილ ფეხობა-კი მხოლოდ ფეხის ხმას აჰყოლია და ყველაფერში კვერს უკრავს სხვილ-ფეხობას, ესე იგი, რომელი ბილლიც უნდა გამოსცეს სხვილ ფეხობამ, წვრილ ფეხობამ უთუოდ უნდა მოიწონოს, დაწუნების ნება არა აქვს. ვიმეორებთ, დიდად გვიხარის კორესპონდენტის შოვნა. ხოლო ვაცხადებთ საჯაროდ, რომ ჩვენთვის საჭიროა ბულვრების კორესპონდენტები სხვა ქალაქებშიაც: ქუთაისში, გორში, ბათუმში და სხვ. იმედი გვაქვს, რომ ვინც-კი ამ ქალაქებში ნამდვილი ქართველი მოიპოვება, შრომაზედ უარს არ იტყვის, კორესპონდენციებს გამოგვიგზავნის და ამით დაეხმარება „ზურნას“ და მის რედაქციას.

ცხელ-ცხელი ამბავი.

ეს ამბავი ცხელ-ცხელი იმიტომ არის, რომ „მე“ ვწერ. დადგა გაზაფხული და ბულვარზედ დაიწყო დიდი მითქმა-მოთქმა „ზურნის“ შესახებ. ამბობენ, „ზურნა“ უნდა გაუქმდეს, ეს ახალი ორგანო ჩვენ არ მოგვწონსო და სხვ. კიდევ ამბობენ რომ საქართველოს ერთი დიდი მტერი გამოუჩნდა და უნდა გავაძევოთო. ეს მტერი ჩვენმა მეთაურმა და პრემიერმა, სხვილ ფეხობის ლიდერმა, ცნობილმა ბულვარბაშმა აღმოაჩინა. ესეც არ იკმარა ბულვარბაშმა და ამტკიცებს, ჩემს გარდა ყველანი საქართველოს მტრები არიანო.

„ზურნის“ კორესპონდენცია

ს. ოპოზიციანეთი (გორის მაზრა, დიდი ლიახვის ხეობა). გათავდა თუ არა უკანასკნელი საბანკო კრება, მაშინვე აქ ხმა დავარდა, რომ ჩვენის ბანკის გამგეობას კონვერსიაც-კი არ სცოდნია, რა არისო. მეტადრე ძლიერ გვაკვირვებს გამგეობის თავმჯდომარე. აგერ თვრამეტი წელიწადია, რაც ბანკი აბარია და აქამდე საფინანსო საქმეების ანბანსაც-კი ვერ მიხვედრილაო. ეს რაღა ღვთის რისხვა და უბედურებაა!.. მაგრამ სასიხარულო ამბავიც შევიტყეთ. „ზურნის“ მესამე №-ში ეწერა, რომ ერთი ქართველი ცეცერონი გამოჩენილა, ზედ-მიწევნით შეუსწავლია კონვერსია და მალე სახელმძღვანელოსაც დაბეჭდავსო. იქნება ეხლა მაინც ეშველოს რამე ჩვენს ბედ-კრულს ბანკს! თუმცა შარშანაც დაიბეჭდა ეგეთი სახელმძღვანელო და მუქთადაც დაგვირიგდა, მაგრამ არა გამოვიდარა: ვიღაცა უვიცს შეეთხზა და შიგ არა ეყარა-რა. საფინანსო მეცნიერებას და კერძოდ საკონვერსიო საგანს ღრმა დაკვირვება ესაჭიროება და, უეჭველია, ქართველი ცეცერონი ღირსეულად შეასრულებს თავის საქმეს. მართალია, ოპოზიციის წინამძღომელი ამ საქმეს „დიდს ღვაწლსა სდებს თავისის გავლენითა და ჩაგონებით“, მაგრამ სახელმძღვანელოს გამოცემა მაინც სხვა რამეა. საჭიროა, რომ სახელმძღვანელო იაფად ჰღირდეს,—უფრო ბევრი გაიყიდება. თუ უფასოდ დაგვირიგებენ, ეგ ხომ ყველას ემჯობინება.

დიდს მზადებაში ვართ მომავალ საბანკო კრებისათვის. ზოგი ოჯახი დედიან-ბუდიანად აპირებს ჩამოსვლას. „დოვერენოსტებს“ ეხლავე ვაგროვებთ. გატეხილი უნდა ვსთქვა, რომ ჩვენთვის სასურველი მხოლოდ მოხელეების არჩევაა. ბანკის გამგეობა უნდა გავაახლოთ და ნიჭიერნი დავაყენოთ, თორემ საბანკო სწავლა-მოძღვრება რა ჩვენი საქმეა, როცა ბევრს ჩვენგანს სამრევლო სკოლაც-კი თვალით არ უნახავს... შარშანაც ეს გვინდოდა და სხვა არაფერი, მაგრამ, საუბედუროდ, მაინც უნიჭოებმა გაიმარჯვეს. ვნახოთ, ამ წელს ღმერთი რას ინებებს. ეს-კია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისაგან სრულებით განთავისუფლებულ იქმნას სიღნაღი, ახალ-ქალაქი და გორი და ახალციხეს, დუშეთს, ნუხას, შუშას, გუმბრს, ნახიჩევანს და ორდუბათს გარდასახადი ნაკლებად გამოერთვას.

** პარასკევს, 5 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაიწყო გარჩევა თ. ავალიშვილის საჩივარისა, რომელიც დაობს ბორჯომის $^{1}/_{62}$ ნაწილს. ეს საქმე 1882 წ. დაიწყო ჯერ ოლქის სასამართლოში. ავალიშვილის საჩივარი შეწყნარებულ არ იქმნა, მაგრამ სამოსამართლო პალატამ უარჰყო ეს გარდაწყვეტილება და ბორჯომის $^{1}/_{62}$ ნაწილი აკუთვნა თ. მ. ავალიშვილს. შემდეგ მიხეილ ნიკოლოზის ძის ვექილმა გ. ბ. საყვარელიძემ გადიტანა საქმე სენატში და ითხოვა ხელ-ახლად გაირჩეს ეს საქმეო. სენატმა შეიწყნარა ეს თხოვნა და ეს საქმე ხელ-ახლად ირჩევა.

** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ წელსაც მიიღო სამეურნეო და სამრეწველო დეპარტამენტისაგან სხვა-და-სხვა გვარი თამბაქოს თესლი: $^{1}/_{4}$ გირვანქა გავანისა, 1 გირვანქა დიუბეკისა და 30 მისხილი სამსონისა, სხვა-და-სხვა პლანტატრებისთვის გარდასაცემად. ამასათანავე დეპარტამენტი სთხოვს ზემოხსენებულს საზოგადოებას, შეგვატყობინეთ, სად რა მოსავალი იქნება ამ თამბაქოს თესლისაო.

** „მწყემსს“ შეუტყვია, რომ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს ვლადიმერს განზრახვა აქვს მომავალ ზაფხულში ეპარქიის სამღვდელოების კრება მოახდინოს, რომელზედაც უნდა მოიფიქრონ რა საშვალებით შეიძლება ზნეობისა და სარწმუნოების განმტკიცება ხალხში.

** ამ დღეებში პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა სვიმონოვმა და პოლიციის მოხელემ ბ-ნმა ბაბალოვმა აღმოაჩინეს სამი ბრბო ქურდებისა, რომელნიც ტფილისში მოპარულ საქონელს გორში, განჯაში და სხვა ქალაქებში თურმე ჰყიდდნენ; ან სხვა ქალაქებში სტეხდნენ სახლებსა და იქ მოპარული საქონელი ტფილისში მოჰქონდათ გასასყიდლად. ამ ბრბოების საქმის გამოძიება ჩააბარეს მძიმე საქმეთა გამომძიებელს ბ-ნ დრაგნევიჩს, რომელმაც გუშინ-წინ, ამ თთვის 5-ს, ოც-და-ცხრა კაცი, პოლიციის მიერ შეპყრობილი, ციხეში ჩასხა. პირველ ბრბოს, რომელიც მარტო ოსებისაგან შესდგებოდა, ბინად ჰქონიათ ერთი ოთახი თუმანოვის ქუჩაზე იგითხანოვის სახლში. მეორე ბრბო შედგენილი ყოფილა იმერლებისაგან; ამ ბრბოში სულ ათი წევრი რეულა. ბრბოს ბინა რკინის გზის სადგურს ახლო ჰქონია. მესამე ბრბო იმერლებისა და ქართლ-კახელებისა ყოფილა. წინამძღოლად ჰყოლიათ ციმბირიდგან გამოქცეული ი. ს—ძე. ამ ბრბოში მონაწილეობა მიუღიათ შვიდ კაცს. ბრბოს დაჭერის დროს, ამ თთვის 3-ს, ერთს მათგანს ხანჯალი უძვრია და გაქცეულა, დანარჩენნი-კი გუშინ ციხეში გაგზავნეს. ამას გარდა პოლიციამ მრავალი მოპარული ავეჯი და საქონელი იპოვნა ზოგი ბრბოების ბინაში და ზოგი-კი სხვა ალაგებში. ეს საქონელი სულ ვერის პოლიციის განყოფილებაშია, საცა პატრონებს შეუძლიანთ მიიღონ დაკარგული ავეჯი.

** 28 თებერვალს ბათუმიდგან მომავალ სახალხო მატარებელმა კინაღამ ერთი კაცი იმსხვერპლა. სადგურ ქობულეთიდგან ის იყო, მატარებელი დაიძრა, რომ ამ დროს ერთმა თექვსმეტისწლის ყმაწვილმა, გვარად ხაინდრავამ, ვაგონს ხელი წაავლო, მაგრამ უცბად ვაგონსა და ვაგონ შუა მოექცა და ის იყო, უნდა გასრესილიყო, მაგრამ იმის იღბალზე ფოსტის მოხელე მელიტონ ღოღობერიძემ დაინახა და სიკვდილს გადაარჩინა.

** ერთ კვირაზედ მეტია, რაც კავკავის გზით ტფილისში რუსეთიდგან ფოსტა არ მოსულა. კობსა და გუდაურს შუა ზვავებია და ყაზბეგისკენ ძლიერ დიდი თოვლი მოსულა.

** ბ-ნ კავკასიის მთავარ-მართებელს გაუგზავნია ყველა აქაურ გუბერნატორებისთვის მკურნალთა მიერ შემუშავებული წესი ძიძებისათვის თავ-შესაფარის გამართვისა. ამ თავშესაფარში უნდა დროებით ბინა ჰქონდეს ყველა ქალს, რომელსაცკი ძიძის ადგილის შოვნა უნდა. თავშესაფარი მიიღებს და დააყენებს ადგილზედ მხოლოდ ჯან-მრთელს ძიძას. ძიძამ უნდა წარუდგინოს თავშესაფარის გამგეს პასპორტი და ღვდლის მოწმობა ბავშვის დაბადებისა და ნათლობისა. თავ-შესაფარის გამგემ უნდა რიგიანად გასინჯოს ძიძა, რომ საეჭვო ავადმყოფობა არა ჰქონდეს-რა. ავადმყოფი ძიძა მსწრაფლ გაიგზავნება ქალაქის საავადმყოფოში. ამას გარდა უნდა გასინჯონ და გამოიკვლიონ რძე ძიძისა და მხოლოდ მაშინ მიეცემა ძიძას ადგილი, თუ რძე საღი ექმნება. ძიძათა თავშესაფარი ექვემდებარება გუბერნიის საექიმო განყოფილებას, რომელსაც ყოველ თთვე დაწვრილებითი ანგარიში უნდა წარუდგინოს თავშესაფარის განმგემ. თავ-შესაფარის დაარსებისათვის საჭირო საექიმო განყოფილების ნებართვა, რომელიც მხოლოდ მაშინ მიეცემა მსურველს, თუ შენობა, სადაც თავშესაფარი უნდა გაიმართოს, თავის დანიშნულებას შეეფერება. თუ ეს წესი დაარღვია რითიმე თავშესაფარის განმგემ, მაშინ საგუბერნიო მმართველობას ნება აქვს სრულიად გააუქმოს თავშესაფარი, რის გამოც პროტოკოლი შესდგება და გუბერნატორს წარედგინება.

** სოფ. სართიჭალაში 15 თებერვალს 3 ყვავილით ავადმყოფი იყო. 28 თებერვლიდგან გახდა ავად 5, სამი მორჩა და ამ თთვის პირველისთვის 5 ავადმყოფი დარჩა კიდევ.

** სოფ. ხაშმში 18 თებერვალის შემდეგ ორი გახდა ავად ყვავილით, ერთი უკვე გარდაიცვალა, ხოლო მეორე ისევ ავად არის.

** ბათუმიდგან დეპეშით იუწყებიან: „იწვის გემი „ათინა“ ნობელისა ბენზინით დატვირთული. კაპიტანი დაიწვა. გემის მოსამსახურენიც დაშავდნენ.

** ზესტაფონი: წარსულ 1892 წელს ქ. ფოთიდგან საზღვარ-გარედა თუ რუსეთში შავს-ქვასა გზავნიდნენ სულ რვა მწარმოებელნი, რომელთა შორისაც 3 ბერძენი იყო, 1—ინგლისელთა კამპანია, შვეიცარიელი—1, გერმანიელი—1, ქართველი—1 და ქართველ-ბერძნის ამხანაგობაც—1. ყველას ერთად საზღვარ-გარედ გაუზიდნიათ 8.094,224 ფუთი, ხოლო რუსეთში—147,000 ფუთი. სულ 8.241,224 ფუთი.

ყოველთვიურად გაუზიდნიათ:

| | ფუთი. |
|---|---|
| იანვარში . . . | 646,846 |
| თებერვალში . . | 136,400 |
| მარტში . . . | » » |
| აპრილში . . . | 298,902 |
| მაისში . . . | 321,560 |
| თიბათთვეში . . | 859,600 |
| მკათათთვეში . . | 1,436,850 |
| მარიამობისთთვეში . | 1.370,138 |
| ენკენისთთვეში . . | 1.172,482 |
| ღვინობისთთვეში . | 299,584 |
| გიორგობისთთვეში . | 747,720 |
| ქრისტიშობისთთვეში . | 951,142 |
| | 8.241,224 |

ქვეყნები, სადაც გაუზიდნიათ:

| | ფუთი |
|---|---|
| 1, ინგლისი . . | 3.144,330 |
| 2, ჰოლანდია. . . | 3.608,586 |
| 3, ამერიკა . . . | 998,200 |
| 4, ბელგია . . . | 287,308 |
| 5, გერმანია. . . | 55,800 |
| 6, რუსეთი . . . | 147,000 |
| | 8.241,224 |

ქალაქები, სადაც გაუზიდნიათ:

| | ფუთი |
|---|---|
| 1, როტტერდამი (ჰოლან.) | 1.386,134 |
| 2, მიდდლესბრო (იგივე) | 2.222,452 |
| 3, გარსტონი (ინგლ.) | 1.255,500 |
| 4, კარდივი (იგივე) | 892,800 |
| 5, ფლიტვუდი (იგივე) | 803,830 |
| 6, ფილადელფია (ამერიკა) | 731,600 |
| 7, ანტვერპენი (ბელგია) | 287,308 |
| 8, ბალტიმორა (ამერიკა) | 266,600 |
| 9, გლასკოვი (ინგლ.) | 192,200 |
| 10, მარიუპოლი (რუსეთი) | 93,000 |
| 11, ჰამბურგი (გერმან.) | 55,800 |
| 12, ნიკოლაევი (რუსეთ.) | 54,000 |

## მთავრობის განკარგულებანი

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს, გენერალ მაიორს თავად ერისთავს ებოძა ორდენი მეჯიდიესი მეორე ხარისხისა.

ოდესის უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებული იაკობ ღულაძე დამტკიცებულ იქმნა ისტორიის მასწავლებლად ტფილისის სერპინეს დედათა გიმნაზიაში.

თხოვნისამებრ დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან: კიზლიარის ორ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი კსტატე ლომიძე და ყარსის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე იაკობ ქოჩარაშვილი. დანიშნულ იქმნენ: თავადი გიორგი გურიელი რკინის გზის ფოსტის სამმართველოს მე-VIII განყოფილების მოხელედ და აზნაური გრიგოლ ფირადაშვილი იმავე განყოფილების მოხელედ.

## ხმა იმერეთიდამ

(კიდევ სათავად აზნაურო სკოლების გამო*)

წერილი რედაქციის მიმართ.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენცა გვაქვს ერთი სათავად-აზნაურო სკოლა ქუთაისში და, რადგანაც გიმნაზიებში და საზოგადოდ ყველა მთავრობის სკოლებში ძრიელ გაძნელდა შვილების მიბარება, ამიტომ ამოდენა ხალხი, თითქმის მთელ იმერეთისა, სამეგრელოსა და გურიის თავად-აზნაურობა ეხლა ამ ერთის სკოლის შემცქერალნი ვართ. ოჯახში და პანსიონებში შვილების მომზადების თავი ჩვენ არა გვაქვს, რადგანაც ამისთვის თვითონ მომზადებულნი არა ვართ და არც შეძლება გვაქვს. მაშ, სწორედ მოგახსენოთ, ჩვენთვის დიდი იმედი და შეღავათი არის, რომ, როგორც ჩვენი შვილები შვიდი-რვა წლისანი შეიქნებიან, მივიყვანთ სააზნაურო სკოლაში, სადაც პირ-და-პირ იღებენ მოუმზადებლად და გაუჯიბრებლად (უკონკურენციოდ). ამ გვარად ამ სკოლაში ყოველ წელს ორასიდგან სამასამდის ყმაწვილი სწავლობს და ემზადება.

ეს სკოლა ჩვენთვის სხვაფრივაც ბევრად სახელ-და-ხელო, საჭირო და სანუკარია. ერთი რომ იქ ყმაწვილის შენახვა ძრიელ იაფად გვიჯდება, რადგანაც არც ფორმით ჩაცმას აქცევენ ყურადღებას და არც რეპეტიტორების დაქირავება გვჭირდება ჩვენის შვილებისთვის. მეორეც, ჩვენს შვილებს იქ ქრისტიანულად ელაპა-

*) ვბეჭდავთ ამ წერილსაც, რათა ყოველგვარი აზრი, რომელიც-კი არსებობს ჩვენს საზოგადოებაში ასეთის საყურადღებო საგნის შესახებ, რაც შეიძლება, ნათლად გამოირკვეს.

რედ.

---

უწინდელზე წლეულ უფრო ხელ-მარჯვედ და მხნედ ვიქნებით და დიდის კიჟინითაც იერიშს მოვიტანთ ბანკის გამგეობაზე...

კენჭოსანი

### ორთა კავშირი

ყველა სახელმწიფოთა პოლიტიკა გვასწავლის და ჩვენის აზრითაც ასე უნდა იყოს, რომ მოკავშირენი უეჭველად ერთი მეორისაგან სარგებლობას რასმე უნდა მოელოდნენ. თუ ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოსაგან სარგებლობას მოელის, დაუკავშირდება ხოლმე, თუ არა და, ნახვამდის, შენ შენთვისა და მე ჩემთვისაო. ასეთივეა ხოლმე კავშირი კერძო კაცთა შორისაც. თუ შენ მე მაქე, მეც შენ გადიდებ და გუნდრუკს გიკმევ. ამ აზრს სხვა დროს დავამტკიცებთ. „გარნა, ვიდრე ამ საქმეს შეუდგებოდეთ“, ერთს ამბავს ვაუწყებთ მკითხველთ. გამოჩენილმა პოეტმა (საქართველოს ბევრი პოეტი ჰყავს. ჩვენ ყველანი პოეტები ვართ. იხილე „ზურნა“ № 1) სილოვან ხუნდაძემ დ. კ—ს ერთი ლექსი უძღვნა (იხ. ლექსთა კრება სილოვან ხუნდაძისა ე. დ. კ—ს *) ეს ძლიერ ესიამოვნა დ „ტიფლისკი ლისტოკის“ ფურცლებზე გამოჰიმა: „სილოვან ხუნდაძისთანა პოეტი მთელ ქვეყანაში არ დაბადებულაო. ვის ეკადრება იმასთან ან ვაჟა-ფშაველა ან ბაჩანაო“. აი სწორედ ეს გახლავთ ორთა კავშირი.

*) ამბობენ, რომ დ. კ., დავით სოსლანი და ზოილი ერთი და იგივე კაციაო.

ასოთ-ამწყობი

### წერილი „ზურნის“ რედაქციის მიმართ.

ბატონებო რედაქტორებო!

დიდად და დიდად გვიხარის „ზურნის“ დაარსება, მაგრამ, რომ არავის არა ჰკილავდეთ, უკეთესი იქმნებოდა. ამ ათის წლის წინად რომ დაგეწყოთ ეგ კილვა, კიდევ ჰო, მაგრამ ეხლა-კი არ გეპატიებათ. რად ემტერებით ქალებს? რა დაგიშავეთ? რამდენი საქველმოქმედო საქმე ჩამოგითვალოთ, რომ ქალებს მონაწილეობა მიეღოთ და თქვენ-კი... კორსეტიო... მერე რომ კორსეტი... უკაცრავად-კი ნუ ვიქნებით და... კორსეტს ვერ ვუღალატებთ... კორსეტი ფრიად საჭირო საგანია და გთხოვთ, თუ შეიძლება, დააარსოთ თქვენ რედაქციასთან ფონდი კორსეტებისა. ეს ფონდი შეუძლებელ ქალებს შეძლებას აღმოუჩენს კორსეტის შეძენისას და იქნება მაშინ მაინც ეშველოს ჩვენს ქვეყანას.

### უცხოთა შორის **)

საფრანგეთის მეფემ ფრანცმა I-მა ჰკითხა პაპს ლეო X-ს:

— რატომ ეხლანდელი მღვდლები უწინდელ ქრისტიანებივით ღარიბად არა სცხოვრობენო.

— ეგ მხოლოდ მაშინ მოეთხოვებოდათ მღვდლებსა, როცა მეფეები ცხვრის ფარებს უვლიდნენო, უპასუხა პაპმა.

**

კარდინალი დე-ბელე რომში წავიდა პაპის სანახავად და თან თავისი ხელ-ქვეითი რაბელე წაიყვანა. დე-ბელე პაპს მიუახლოვდა და, როგორც ჩვეულება მოითხოვს, ფეხზედ ემთხვია, რაბელემ ეს რომ ნახა, მაშინვე გარედ გამოვიდა. შემდეგ დე-ბელემ ჰკითხა:

— რად გამოიქეცი პაპის ოთახიდგანაო?

— ბატონო, თქვენ პაპს ფეხზედ ემთხვიეთ, და მე, თქვენი ხელქვეითი, რაღაზედ უნდა მთხვეოდიო.

**

საფრანგეთის მწერალს ვოლტერს ერთმა ნაცნობმა წერილებით თავი მოაბეზრა. ვოლტერს უნდოდა როგორმე თავიდგან მოეშორებინა და მისწერა: „მოწყალეო ხელმწიფევ, მე გარდავიცვალე და ამიტომ ამიერიდგან თქვენ წერილებზედ პასუხს ვერ გაგცემთო“.

ვოლტერის მოუსვენარმა ნაცნობმა კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა და ზედ დააწერა: „ბ-ნს ვოლტერს, საიქიოს“.

**) ეს ამბები აბრამ გადმოგვცა, ძველი ამბებია და ჩემთვის არ გამოდგებაო.

„ზურნის“ რედაქ.

### გასართობი.

ერთი კაცი ყოველ საღამოს თავის სატრფოსთან დადიოდა ხოლმე. ნაცნობებმა ჰკითხეს:

— თუ კი ეგრე გიყვარს, რატომ არ შეირთავო?

— რო შევირთო, მერე საღამოობით ვისთან ვიარო ხოლმეო, უპასუხა.

---

რკინის გზის მატარებლით ორი ქალბატონი მიდიოდა (არ ვიცით-კია, საიდგან და სადა) ერმა ქალმა კონდუქტორს უბრძანა:

— ფანჯარა გაალეთ, თორემ სული შემეხუთა და ეხლავე მოვკვდებიო.

მეორე ქალმაც უბრძანა კონდუქტორს:

— არ გააღოთ ფანჯარა, თორეძ შემცივა და ეხლავე მოვკვდებიო. ასტეხეს ჩხუბი. კონდუქტორმა არ იცოდა რა ექნა.

— ბატონო კონდუქტორო, უთხრა ერთმა მგზავრმა, ჯერ ფანჯარა გაალეთ და როცა ერთი ქალბატონი გარდაიცვლება, მერე დაკეტეთ, მეორეც გამოესალმება წუთი-სოფელს და აყალმაყალს ბოლო მოეღებაო.

რედაქტორები: კუპრია და ადიკო

რაკებიან დედა-ენაზე, სანამ საჭირო უცხო ენას არ შეისწავლიან, ნორჩს ტვინსა და გონებას არ ულაყებენ გაუგებარ სიტყვების რახა-რუხით, მოვლითაც ადამიანურად უვლიან და ეკიდებიან, რადგანაც გული შესტკივათ, მათი ბუნება, ხასიათი და მდგომარეობა იციან. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი წყალობა და ბედნიერება ის გახლავს ჩვენთვის, რომ ამ ჩვენს სკოლაში ჩვენს შვილებს თავის დედა-ენას ასწავლიან რიგიანად, თავიანთ ვინაობას არ ავიწყებინებენ, თავის ქვეყნისა და მამა-პაპის სიყვარულს უღვიძებენ და უნერგავენ გულში და ამ გვარად ჩვენი შვილი ჩვენსავე შვილად რჩება და უკუღმართად არ სხვაფერდება. მერმე, ვინც ამ სკოლაში ნიჭსა და ერთგულობას იჩენს, მომზადებულები სხვა სკოლებში გადაჰყავთ სწავლის დასამთავრებლად.

ამიტომაც არის, რომ ყველა ჩვენი შეგნებული მშობლები, თავადნი, თუ აზნაურნი, დღეს ჩვენში ლოცვა-კურთხევით იხსენებენ იმ პატიოსანთ და მამულის ერთგულთ, რომელთაც პირველად მოისაზრეს სათავად-აზნაურო სკოლის დაარსება და ამ კეთილსა და საშვილი-შვილო საქმეს თავი მოაბეს და უწინამძღვრეს.

ეხლა ადვილად მიხვდებით, როგორის გულის ცემითა და შიშითაც ვადევნებთ თვალ-ყურს, როცა-კი ამ სკოლაზე ჩამოვარდება ლაპარაკი ჩვენის ბანკების კრებაზე ანუ კიდე—გაზეთებში. სწორედ მოგახსენოთ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა დიდი იმედი გვქონდა, რადგანაც გვჯერა, რომ მანდ ჩვენი უფროსი ძმები უფრო გონივრულად, დინჯად და გულ-დადებით ეპყრობიან ყოველ საზოგადო საქმეს, რომ ეგენი უფრო კარგად გადასწყვეტენ სათავად-აზნაურო სკოლის ბედს და მაშინ, უეჭველია, ჩვენც იმავე გზას დავადგებით, რომელსაც მანდ აირჩევდნენ. აი სწორედ ამიტომ ძლიერ გაგვეხარდა, როცა წავიკითხეთ, რომ ამას წინად ტფილისში საადგილ-მამულო ბანკის კრებისაგან არჩეულმა კომისიამ, მცოდნე კაცთა თანადასწრებითა და მონაწილეობით გადასწყვიტა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ტიპის შეუცვლელობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილება, როგორცა სჩანს, ჯერ კიდევ საბოლოო არა ყოფილა და, ვინ იცის, როგორ დატრიალდება ჩვენის სკოლების ბედი.

უნდა ვსთქვათ, რომ მოუთმენლად ველოდდით თქვენის გაზეთის აზრს ამ სავალალო საქმის შესახებ და ყოველ ნომერს თვალ-ყურს ვადევნებდით. იმედი არ გაგვიწბილდა. მე-24 ნომერში ამოვიკითხეთ მოწინავე წერილის სათაური: „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ“. ძრიელ გაგვეხარდა და გულ-მოდგინედ დავეწაფეთ ამ წერილის წაკითხვას. მაგრამ, უნდა გულ-წრფელად მოგახსენოთ, მისმა წაკითხვამ სრულიად გაგვიცრუვა იმედი და დიდ სასო-წარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ეს წერილი, როგორც სჩანს, გაზეთის ერთ-ერთის თანამშრომლის აზრია. მხოლოდ სრული იმედი მაქვს, რომ ამ ჩემ წერილსაც ადგილს მისცემთ თქვენს გაზეთში ზემოხსენებულის მეთაურის საპასუხოდ და საქმის გამოსარკვევად. ჩვენ არ ვიცით, რა გვარ სწავლულთა და მეცნიერთა წრეს ეკუთვნის პატივცემული თქვენი თანამშრომელი, ან რომელ სისტემაზეა აღზრდილი, მხოლოდ ის-კი ცხადადა სჩანს იმის წერილიდგან, რომ დიდი წინამღდეგია სწავლა-აღზრდის, ესრედ წოდებულ, კლასიკურ სისტემისა. მისი თავი და თავი აზრი მოკლედ რომ ვსთქვათ, ასე გამოიხატვის: რადგანაც ჩვენს სააზნაურო სკოლებში ლათინურსა და ბერძნულს ასწავლიან, ამიტომ ეს სკოლა ჩვენს ცხოვრებას არ შეჰშვენის, მავნებელი და მომეტებული ბარგია და კიდეც უნდა გავაუქმოთ, ხოლო მის ნაცვლად სხვა გვარი სკოლა დავაარსოთ.

ამ აზრის დასამტკიცებლად და გასამართლებლად თქვენი თანამშრომელი ძლიერ შორს წაბძანებულა საბუთების საძებნელად. იგი ბრძანებს, რომ სწავლა-აღზრდის კლასიკური სისტემა ევროპაში და რუსეთშიაც ზოგიერთებმა უარ-ჰყვესო და მაშასადამე, ჩვენ რაღად უნდა ვირჩიოთო. მაგალითად ჩამოგითვლის ხუთიოდე პედაგოგის სახელს (ბენი, სპენსერი, კანპენტერი, ბურგერშტეინი და სხვ.), რომელთაც ძლევა-მოსილებად ჰხადის. კარგი და პატიოსანი; ეს თუნდა ასე იყოს, საკვირველი ის არის, რად დავიწყებია ჭეშმარიტების მოყვარე თანამშრომელს, რომ თუ კლასიკური სისტემის მოწინააღმდეგენი ხუთი და გინდ ოცი მოიპოვება, ნაცვლად მოსარჩლენი ასობით და ათასობითაც ირიცხებიან ყველგან: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და რუსეთშიაც, და ამასთანავე ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, ფილოსოფოსები, პროფესორები და პედაგოგები, რომ თუმცა ბევრად უფრო მაღლა არ დგანარიან თავიანთის ძლევა-მოსილებით, უკან მაინც არ ჩამორჩებიან მისგან ჩამოთვლილ ხუთიოდე პედაგოგს. განა სამართალი არ მოითხოვდა, რომ, როცა კლასიკური სისტემის მოწინაალმდეგენი ისე ქება-დიდებით მოიხსენა, ორიოდე სიტყვა ამ სისტემის მოსარჩლეთა შესახებაც ეთქვა? მაგრამ იქნება ჰფიქრობს პატივცემული თქვენი თანამშრომელი, რომ მარტო იმას ამოუკითხავს სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ ეხლანდელი დავა-ბაასი, მის მეტმა არავინ იცის და მის ლიტონ სიტყვას აქსიომად ჩასთვლიან? უკაცრავად-კი ნუ ვიქნებით და ძლიერ შემცდარი ბრძანდება. ვის არ ახსოვს, მაგ., რა გამწვავებული ბრძოლა ატყდა ამ ერთის წლის წინად მთელს გერმანიაში სწავლის სისტემის შესახეს, როცა ამ ბრძოლაში თვით იმპერატორიდგან დაწყებული თითქმის ყველა გამოჩენილმა და განათლებულმა მამულის შვილმა მიიღო მონაწილეობა. რითი გათავდა მერე ეს ბრძოლა? მით, რომ შეადგინეს კომისიები, ბევრი ილაპარაკეს, განსაჯეს, იბრძოლეს და ბოლოს კლასიკური სისტემა სასწავლებლებში თითქმის ისევ შეუცვლელად დარჩა და მხოლოდ კლასიკურის ენების გაკვეთილების რიცხვი შემცირდა. ამას გარდა, ხომ ვერც ერთს განათლებულ ქვეყანას ვერ დაგვისახელებს ბ-ნი თანამშრომელი „ივერიისა“, სადაც დღეს კლასიკური სისტემა სწავლა-აღზრდისა არ უფლობდეს რეალურ სისტემასთან შედარებით.

მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. საქმე ის გახლავთ, განა ჩვენზეა დღეს დამოკიდებული სწავლა-აღზრდის სისტემის შეცვლა? განა ჩვენ დღეს ისეთ გარემოებაში ვართ, რომ ის სისტემა ავირჩიოთ, რომელიც ჩვენ მოგვწონს, თუ უნებლიედ იმ გზასა და სისტემას უნდა მივსდიოთ, რომელიც მთელ სახელმწიფოში არსებობს? ვინ მოგვანიჭა ისეთი უფლება, ანუ სადა გვაქვს სახსარი, რომ ისეთის ტიპის სკოლები გავმართოთ, როგორიც თქვენს თანამშრომელს მოსწონს? ჩვენი უმთავრესი მეცადინეობა, ეხლანდელ მდგომარეობაში, შვილების აღზრდის გაუმჯობესობის შესახებ მხოლოდ ის უნდა იყოს, ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რათა ხელი შევუწყოთ ჩვენს შვილებს, რომ სხვა სავალდებულო საგანთა გარდა, ისიც შევასწავლოთ, რაც მათთვის მიუცილებლად საჭიროა და რასაც მთავრობის სასწავლებელში ჯეროვანი ადგილი არა აქვს დათმობილი.

სათავად-აზნაურო სკოლაც სწორედ ამ აზრით არის დაფუძნებული. მის დაარსებამდის არ გვქონდა არც ერთი ისეთი სასწავლებელი, რომელსაც, ცოტაც არის ნაციონალური ფერი, გინდ ხასიათი ჰქონოდა. გარემოებამ ხელი შეგვიწყო და ცოტაოდენი უფლებაც მოვიპოვეთ ამ სკოლისთვის, რომლითაც გონივრულად უნდა ვისარგებლოთ, მინამ ეს უფლება ხელთა გვაქვს. ეს საქმე ყველა შეგნებულ ქართველისაგან თანაგრძნობასა და ხელის შეწყობას ითხოვს. ის-კი არა და, დროებისა და გარემოების მიუხედავად, ზოგიერთნი არჩევანში შედიან, გამოსულან და გვირჩევენ: რაც გვაქვს, ის ნუღარ გვინდაო, აშენებული და გაკეთებული საქმე გავაუქმოთ, მოვსპოთო და სხვა ტიპის სკოლა დავაარსოთო. საკვირველია, რად ივიწყებენ ასეთი მრჩეველნი, როგორ გარემოებაში ვართ? ნუ თუ არ იციან, რა ძნელია დღეს ყოველ გვარ განსაკუთრებულ უფლების მოპოება სწავლა-აღზრდის შესახებ? ვსთქვათ, თქვენის თანამშრომლისა და სხვათა მისთა თანამოაზრეთა სურვილი აღსრულდა, გაუქმდა სათავად-აზნაურო სკოლა. გაკეთებულ საქმის წახდენა ხომ ადვილია. მერე ახალის საქმის დაწყებას, სისრულეში მოყვანასა და უფლების გამოთხოვას ვინ კისრულობს? რაცა გვაქვს, ისიც რომ მოვსპოთ და სამაგიერო არაფერი დაარსდეს, მაშინ რას იტყვიან ასეთი ჩვენი ვაჟბატონები? „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აგერ რამდენი ხანია ცდილობს, რომ უბრალო სოფლის სკოლის დაარსების ნება აიღოს, მაგრამ არა გზით არ მოხერხდა. ამ გარემოებამ და მრავალმა სხვა ამისთანებმა, ვგონებთ, კარგა უნდა ჩაგვაფიქროს, როცა სათავად-აზნაურო სკოლის გაუქმებას ვქადაგებთ და ახალის ტიპის სკოლის დაარსებას ვაპირებთ.

მაგრამ, მაინც კიდევ დავეთანხმოთ თქვენ თანამშრომელს: ვსთქვათ, დაიკეტა სააზნაურო სკოლა. რას გვიქადის მერე მის ნაცვლად? სხვას არასფერს, მხოლოდ იმ ფულით, რაც ფული ამ სკოლაზე იხარჯება, სურს ერთი სამეურნეო ანუ სამრეწველო სკოლა დაარსდეს! ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ ჩვენი სააზნაურო სკოლა ორის თანასწორ ნაწილისაგან არის შემდგარი: ოთხი კლასი პატარა ბალღების მოსამზადებლად არსებობს და ოთხიც პროგიმნაზიას შეადგენს. მოსამზადებელ კლასების დაკეტას, ვგონებთ, არავინ არ ისურვებს, ვინც-კი სრულის ჭკუის პატრონია. მაშ დარჩა ოთხი პროგიმნაზიული კლასი. მთელ სააზნაურო სკოლას სულ 25 ათასი მანათი უნდება შესანახად წელიწადში. ეს ჯამი რომ შუაზე გავყოთ, პროგიმნაზიული კლასები დავკეტოთ, დაგვრჩება 12 ანუ 13 ათასი მანათი თავისუფალი. ეხლა ვკითხოთ თქვენს თანამშრომელს: შეიძლება ამ ფულით რომელიმე ხეირიანი და თვალსაჩინო სამეურნეო სკოლა დაარსდეს? არა, ბატონო, ისეთის სამეურნეო სკოლის დაარსებას, რომელსაც შეეძლოს, რომ მართლა სარგებლობა მოგვცეს და დახელოვნებული სპეციალისტები აღგვიზარდოს, დიდი ფული უნდა, რომელიც ჩვენ არ მოგვეძევება. მაშ სააზნაურო სკოლა აქ რა შუაშია? ეს სკოლა მაშინ კიდე უფრო სჭაირო იქნებოდა, სამეურნეო სკოლა რომ გვქონდეს, რადგანაც ასეთის სკოლისთვის მიუცილებლად საჭირო იქნება წერა-კითხვაში და საზოგადო სწავლაში მომზადებული ყმაწვილები. თუმცა ეს ასეა, მაინც პატივცემულ თქვენს თანამშრომელს-კი სულ სხვა ფრად მოსჩვენებია. ჩვენს პატარა სააზნაურო სკოლის არსებობასთან დაუკავშირებია როგორღაც ეხლანდელი სწავლა-აღზრდის კლასიკური სისტემის არსებობა, და მისი გატაცებული ფანტაზია ასეთს შეუძლებელ იდეალს გვიხატავს ჰაერში: „წარმოვიდგინოთო“, ბრძანებს, „არც ერთი გიმნაზია არა გვაქვს. გვაქვს რეალური სასწავლებლები, სამეურნეო, სატეხნიკო და სხვ. მიაწყდა ქართველობა ამ სკოლებს და უსწავლელი არავინ დარჩა. სურათი ძირეულად შეიცვლება. დავუბრუნდებით მამულს, შევიმუშავებთ, ავაყვავებთ, გავმართავთ ფაბრიკებს, ზავოდებს, დავაკეთებთ მაშინებს, ყველას თავისუფალი შრომა გვექნება“... და სხ. ერთი სიტყვით, ნურც გიმნაზიები გვექნება და ნურც უნივერსიტეტები! სწორედ მოგახსენოთ, ეს, ცოტა არ იყოს, ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობაში ძრიელ ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ დავატანოთ ძალა ჩვენ ოცნებას და მაინც, როგორც იყოს, წარმოვიდგინოთ.

მერე? მერე-და, მთელი საქართველოს ხალხი გადიქცევა ნასწავლ მუშებად. გაქვსთ ღვთის წყალობა, კუჭი ჩვენ გავიძღოთ! პური და ღვინო, რომელიც ჩვენ ისრე გვიყვარს, რომ ყველაფერს ვანაცვალებთ, აუარებელი გვექნება. მაგრამ სხვა? განა არც საზოგადოდ განათლებული და მეცნიერებით აღჭურვილი კაცები გვინდა? არც დოქტორები, არც ლიტერატორები, არც ისტორიკოსები, არც პედაგოგები და არც ნასწავლი მხედრები?—კარგი იდეალია, თქვენმა მზემ! მე-კი ამ იდეალმა ერთ ქიზიყელ ახალგაზდა ყმაწვილის იდეალი მომაგონა, რომელმაც ინატრა ერთხელ, რომ ნეტა-კი ყველა საქონელი ჩვენში სახედრებად გადააქციაო.

ვსთხოვთ ბ-ნს თქვენს თანამშრომელს, წარმოიდგინოს ერთს წამს, რა იქნებოდა უწინდელი საბერძნეთი, ან ეხლანდელი საფრანგეთი, გინდ ინგლისი, გერმანია, ან, თუ გინდ კიდევ, რუსეთი, რომ ამ ქვეყნებს ნასწავლი და სპეციალურად მომზადებულ მუშების მეტი არავინ ჰყავდეთ?

მოხუცი პედაგოგი

ქუთაისი, 18-ს თებერვალს.

# წვრილი ამბავი

ამ ცოტა ხანში პარიჟის საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში ჟოზეფ ბერნერი წაიკითხავს დიდს ლექციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ისუნთქოს კაცმა ძილისა მთქნარების, სიცილის, ცხვირის დაცემინების და ტირილის დროს. ჟოზეფ ბერნერი ამტკიცებს, რომ ბევრმა არ იცის რიგიანი სუნთქვა, როგორც-კი კაცის აგებულებას შეეფერება, და ამას ხშირად ავადმყოფობა და ადრე სიკვდილიც მოსდევსო.

— ამერიკის გამოჩენილი მექანდაკე, ელვეკი ამზადებს გამოჩენილ მწერალ ჩარლზ დიკენსის გამოქანდაკებულ სურათს, რომელიც უნდა მიართვას ლონდონის საზოგადოებას „County Councid“. მაგრამ ამ საზოგადოების ერთმა წევრთაგანმა გაახსენა საზოგადოებას განსვენებულ დიკენსის ანდერძი: „მე იმედი მაქვს, რომ უმეგლოდაც არ გაჰქრება ჩემი სახელი და მეგლის მაგიერობას ჩემი თხზულება გასწევსო“. ამისათვის სთხოვდა ამხანაგებსა და მეგობრებს „მეგლს მე ნუ დამიდგამთო“. ამ მოსაზრებით ზემოხსენებულმა საზოგადოებამ უარი განუცხადა ელვეკს: „მაგ ქანდაკებას ვერ მივიღებთ, რადგანაც განსვენებულის ანდერძს ვერ გავტეხთო“.

— როგორც გაზეთები ამბობენ, პაპას საიუბილეოდ დიდ-ძალი საჩუქარი მიუღია. ჯერ ავსტრიის იმპერატორისაგან 100,000 ლირა, პრაგის არხიეპისკოპოზისაგან 100,000 ლირა, ჰერცოგებისაგან 100,000 ლირა, ვენგრიის კნიაზ-პრიმასისაგან 100,000 ლირა, ჩეხიის არისტოკრატებისაგან 300,000 ლირა და სხვა. სულ 6 მილიონამდე ლირა (ლირა 25 კაპეიკია).

— ბუდაპეშტში ტელეფონის დირექციამ დაიწყო ტელეფონით გაზეთის გამოცემა. ჯერ 250 ხელის მომწერელი ჰყავს. ტელეფონის დირექციიდგან ხელის მომწერლების სახლებში სატელეფონო მავთულებია გაყვანილი. დირექციაში ყოველ დღე დილიდგან საღამომდე ჰკითხულობენ გაზეთს ხმა-მაღლა და ყველა თავის სახლში ისმენს წაკითხულს. გაზეთს ჯერ მადიარულად კითხულობენ და მერე ნემეცურად.

— პარიჟში აპრილის დამლევს ან მაისის დასაწყისში გაიმართება საერთაშორისო ველოსიპედების გამოფენა, რომელიც 15 დღეს გასტანს. ამ გამოფენის კომიტეტის პრეზიდენტად ბ-ნი როშეა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

### I

ამასთანავე გიგზავნით ქართველ ლიტერატორთა ფონდის მისამატებლად შვიდ მანათს, შეგროვილს დ. ზესთაფონში: იოს. კაკაბაძე 2 მ., ილ. კაკაბაძე 1 მ.. ყარამან კაშაძე 1 მ., კოლა ქუთათელაძე 1 მ., თ. ს—ა. 1., ს. ელიაშვილი 1 მ.

თ. სახოკია

1893 წელი 2 მარტი

### II

თქვენ პატივცემულ გაზეთ «ივერიის» № 39-ში, სხვათა შორის, იყო დაბეჭდილი ფოთიდგან მოწერილი ამბავი, ვითომც ფოთის ახალგაზდა ყმაწვილებმა საჯარო სამკითხველოს სასარგებლოდ სამ-სამი მანეთი შემოიტანეს ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად და მე ეს ფული დანიშნულებისამებრ არ მომეხმაროს.

სიმართლის აღსადგენად მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვთ, ამ ჩემს მცირე წერილს ცოტა ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

ჩვენ წიგნის მაღაზიაში 1892 წ. ბ-ნნი ი. მ. და მღ. ი. ხ. მეთაურობით დაწესდა საჯარო წიგნთ-სამკითხველო, სადაც მაშინ კრების მიერ დაწესდა თითოეულ წევრისაგან სამკითხველოს სასარგებლოდ წლიურად სამ-სამი მანეთი. იმავე წელს წევრად ჩაეწერა 120 კაცი. ამ წევრთაგან უნდა შემოსულიყო 360 მანეთი, ნამდვილად-კი შემოვიდა მარტო 56 მანეთი. იმავე წელს სამკითხველოს სასარგებლოდ მე გამოვიწერე ათი სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთი, 81 მანეთისა და 52 კაპ. აქედგან ცხადად მიხვდება მკითხველი, რომ არამცთუ საწევრო, არამედ ჩემი ფულიც მომიხმარებია სამკითხველოსთვის. დასამტკიცებლად ამისა ვთხოვ, ყველას, ვისაც-კი უნდა სიმართლის გაგება, მობრძანდეს ჩემთან და შესავალ-გასავლის დავთრები გადიკითხოს. რადგან საჯარო წიგნთ სიმკითხველომ ვერ იწარმოვა საწევრო ფულის შემოუტანლობის გამო, ამისათვის წელს მე თითონ გამოვიწერე ჟურნალ-გაზეთები გასასყიდად და საკითხავადაც. სამკითხველოს სასარგებლოდ წლით 150 კაპეიკი დავაწესე. თითო გაზეთის ნომერს ვყიდდი იმ ფასად, როგორც რედაქციებში იყიდება, მაგრამ მაინც სამკითხველოს ცოტა ჰყავს მკითხველი და გაზეთებიც ცოტა იყიდება. კითხვის სურვილი და მოთხოვნილება რომ გავრცელდეს, მე 25 თებერვალს ფოთის ქალაქის თვით-მართველობისაგან ნება-რთვა მივიღე, რომ ფოთის ბულვარის პირად წიგნთ-საცავისთვის პავილიონი ავაშენო სწორედ იმ ნაირი, როგორც ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობასა აქვს აშენებული ქ. ტფილისში, წიგნების გასასყიდად. შენობის აშენებისათანავე მე მინდა უსასყიდლო წიგნთ-სამკისველო დავაარსო განათლებულ კაცების დახმარებით და იმედია გარეშე ქალაქებიც შემწეობას აღმოგვიჩენენ ამ კეთილ საქმეში.

ვინ რამდენი შემოიტანა საწევრო ფული აქამომდე სამკითხველოს სასარგებლოდ, მსურს ამ ცოტა ხანში გამოვაცხადო თქვენის გაზეთის შემწეობით.

კინსტანტინე ნოდია.

26 თებერვალს 1893 წ.
ქ. ფოთი.

---

# დეპეშა

6 მარტი.

**ბერლინი.** სამხედრო კომისიამ გაათავა მეორედ წაკითხვა სამხედრო კანონ-პროექტისა და უარ-ჰყო ხმის უმეტესობით. წინააღმდეგ იყო ამისი მხოლოდ ექვსი კონსერვატორი; შემდეგ კომისიამ უარ-ჰყო ყველა სხვა სარჩიელიც. შემდეგი კრება, რომელზედაც წაკითხულ იქმნება მოხსენება, მოხდება ნაალდგომევს. რაკი კანონ-პროექტის მეორედ წაკითხვას ასეთი შედეგი მოჰყვა, საერთო აზრია, რომ რეიხსტაგის დათხოვნა უეჭველი საქმეაო; დათხოვნა რეიხსტაგისა მოხდება მას შემდეგ, როცა კანონ-პროექტს განიხილავსო.

გუშინ მობრძანდა აქ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და ჩამოხდა რუსეთის საელჩოში. დილის 9 საათზე იმპერატორი მიბრძანდა ვიზიტად დიდს მთავართან და დიდხანს დაჰყო; შემდეგ მისმა უმაღლესობამ მიიღო ბლომად მაღალ-ხარისხოვანნი კაცნი; ნაშუადღევის 1 საათზე დიდი მთავარი ბრძანდებოდა ვიზიტად იმპერატრიცასთან, ხოლო $3^1/_4$ საათზე წაბრძანდა ვეიმარს.

კონსერვატორმა დეპუტატებმა ფრიზენმა, ჰამერშტეინმა და მენერტმა, რომელიც მხარი მისცეს 30 სხვა კონსერვატორმა, შეიტანეს სარჩიელი, რომ მთავრობამ შეიმუშაოს კანონ-პროექტი და იმის ძალით აეკრძალოთ გადმოსახლება გერმანიაში იმ ებრაელთ, რომელნიც გერმანიის ქვეშევრდომნი არ არიანო.

პეტერბურგის ბირჟა, 5 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7,_{58}$ | $7,_{60}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | 152 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | $1,_{07}$ | $1,_{09}$ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 241 |
| —მეორისა | 221½ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 195 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀ | — „ | 102 | — „ |
| 5°/₀ | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ | — „ | 102 | — „ |
| 5°/₀ | 100 | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¼ | — „ | — „ |

## ხელ-და-ხელ საჯირო ცნობა

თელავი. 12 მაისს თელავის სამოსამართლო განყოფილებაში ვაჭრობით გაიყიდება მამული ზაქარია ივანის ძისა და არჩილ ალექსის ძის ჩავჩაიძეებისა. მამული ქ. თელავშია, შეიცავს სამ სართულიან ქვითკირას სახლს ფართო ეზოთი და დაფასებულია 1800 მან.

— ტფილისი. 10 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლოში მოხდება ვაჭრობა სერგეი აბრამის ძის მილილოვის მამულის გასასყიდვლად. ეს მამული სამ-თვალ დუქნიდგან შესდგება, მდებარეობს ბაზაზ-ხანაში და დაფასებულია 3,000 მანათად.

— იქვე. იმავ დღეს ვაჭრობით გაისყიდება სერგეი აბრამის ძის მილილოვის ბაღი, რომელიც ორთა-ჭალაში მდებარეობს და დაფასებულია 1,000 მან.

# განცხადებანი

ახალ-სენაკში

კ. თავართქილაძის ახალ სტამბაში დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები ისყიდება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სცენების დამატებით, მშვენიერი ყდით, ფასი 1 მ.
2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ.
3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ.
4) „ვეფხის-ტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.
5) „რამდენიმე მოთხრობა“, ნინოშვილისა, 50 კ.
6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ.
7) „ზანგის სამკვიდრო“, თარგმანი დათიკო ვერმიცანაშვილისა, 10 კ.
და სხვა-და-სხვა წიგნები.

---

თესლეულობით ვაჭრობა
ბ. გ. ლარშესი
მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.
მიჰყიდე
ახალი თესლეულობა
ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება.
(15—9)

---

ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 „ქართულ წიგნთ-საკითხავში“ დაარსდა

## ნოტებით ქართულ გალობის სწავლა

გალობას ასწავლის ბ-ნი ფ. ქორიძე, ახსნის და განმარტავს თვით ნოტების მნიშვნელობას იმ გვარად, რომ თითოეულს მოსწავლეთაგანს შეეძლოს თვითვე მონახოს ხმები და გალობა გამართოს. გალობის სწავლა შეუძლია ყველა წოდების კაცს, სწავლის ფასი არ ერთმევათ და ნოტების ქაღალდიც მუქთად მიეცემათ. ხოლო უკეთუ ვინმე მოსწავლეთაგანი ისურვებს და თვით გალობის წარმატებისთვის შემოსწირავს რამეს, დიდის მადლობით მიღებულ იქნება. დრო და დღე დანიშნული იქნება თვით მოსწავლეთა სურვილის თანახმად. რადგან ნოტებით გალობა ახალი საქმეა ჩვენში და მისი მოსმენა ბევრისათვის საყურადღებოა, ამისთვის ყოველ დღესასწაულის წინა დღით გამოცხადებული იქნება, თუ რომელს ეკკლესიაში იგალობებს მგალობელთა გუნდი. გალობა გადაღებულია ქუთაისში იქაურ საუკეთესო მგალობელთა დახმარებით ბ-ნ ფ. ქორიძის მიერ.

დღეს, 7 მარტს იგალობებენ კალოუბნის ეკკლესიაში

---

გამოვიდა და ისყიდება

## მოლა მასრადინას მოსწრებული სიტყვები და ოსმალური ანდაზები

ოსმალურით გადმოთარგმნილი
ალექსანდრე იაკ. მირაქ—ს მიერ
ფასი 20 კაპ.

**ტფილისში:** „წერა-კითხვის გამ.“ საზ. მაღაზიაში, გრიქოროვის წიგნის მაღაზიაში, ლონდონის სასტუმროს ქვეშ, იზმიროვის ქაღალდის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ და ვაგზალზედ ბუტკაში;

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ, на Армянск. баз. д. Манташева. Александру Миракову. ვინც ხუთ ცალს იყიდის, მანეთზედ 20 კ. დაეთმობა.

---

## აგური

კაპიტანის მეუღლის ეკატერინე ისაკის ასულის კალატოზიშვილის ახლად გამართულ აგურის ქარხანაში იყიდება რუსული საუკეთესო აგური და ქართულიც **ბაცილებით იაფად, ვიდრე სხვა ქარხანებში.** აგურის მყიდველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ნორაშენის ქუჩა, სახლი ბადრიძესი № 3. ვთხოვთ მსურველთ, ორი კვირის წინად შემოგვიკვეთონ ხოლმე, რამდენის აგურის ყიდვაც უნდათ.

(6—4)

---

## ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქ. ტფილისში.

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა, მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოვანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, და ვარანცოვის ძეგლთან, კარვაროვთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მააროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გალალიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბუღდანოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარ სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრედვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად.

(10—7)

---

## მექარხნეები

სავაჭრო სახლი

## ბენდერ-სტეფანოვი

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.
ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.
სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.
ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.
ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.
სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.
მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.
პერანგები კაცისა:
„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.
საცვლები მანდილოსნებისათვის:
პერანგები, კოფთები და კალსონები.
ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—4)

---

ახლად გამართული

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—45)

Доз. ценз. Тифлисъ, 6-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.